# წილის შეძენის მიზნით გადახდილი თანხების გამოქვითვა 0268

## ფაქტობრივი გარემოებები

კომპანიას 2011 წელს გაფორმებული აქვს ხელშეკრულება სახელმწიფოსთან, სახელმწიფო შპს-ის 100% წილის შეძენასთან დაკავშირებით. წილის ღირებულება განისაზღვრა 1 ლარით და 5-წლიანი საინვესტიციო ვალდებულებით (ყოველწლიური ფულადი შენატანის სახით). ფულადი შენატანების დროს შედგენილია კომპანიის საოქმო გადაწყვეტილება კაპიტალის გაზრდის შესახებ.

კომპანიამ 2013 წელს მიიღო გადაწყვეტილება ხელშეკრულების მოშლის შესახებ, რისთვისაც გადაიხადა პირგასამტეხლო 100 000 ლარი. ამასთან, ხელშეკრულების მოშლამდე საგადასახადო პერიოდებში ინვესტირებულმა თანხამ შეადგინა 1 500 000 ლარი, რომელიც ხელშეკრულების პირობების შესაბამისად უკან დაბრუნებას არ ექვემდებარება.

კომპანიამ ინვესტირებული თანხა 1 500 000 ლარი და პირგასამტეხლო 100 000 ლარი მიიჩნია წილის შეძენისთვის გაწეულ ხარჯად და ასახა ხელშეკრულების მოშლის საანგარიშო პერიოდის (2013 წლის) ერთობლივი შემოსავლიდან გამოსაქვით ხარჯებში.

## შეფასება

სსკ-ის 105-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, ერთობლივი შემოსავლიდან გამოიქვითება ყველა ხარჯი, რომელიც დაკავშირებულია მის მიღებასთან, გარდა იმ ხარჯებისა, რომლებიც ამ კოდექსის თანახმად გამოქვითვას არ ექვემდებარება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ინვესტირებული (1 500 000 ლარი) და პირგასამტეხლო (1 000 000 ლარი) განხილულ უნდა იქნეს ერთობლივი შემოსავლის მიღებასთან დაკავშირებულ გამოსაქვით ხარჯად.

## ღონისძიებები

პირის ქმედებაში საგადასახადო სამართალდარღვევა არ იკვეთება და დამატებითი საგადასახადო ვალდებულების დაკისრება არ ხდება.

**ანოტაცია**
**„წილის შეძენის მიზნით გადახდილი თანხების გამოქვითვა“ №0268**
**სიტუაციური სახელმძღვანელოს თაობაზე**

სიტუაციური სახელმძღვანელო არეგულირებს სახელმწიფოსაგან სიმბოლურ ფასად (1 ლარი) შეძენილი 100%-იანი წილის ხელშეკრულების ვადაზე ადრე მოშლის შემთხვევაში, ხელშეკრულების მოშლამდე საანგარიშო პერიოდებში პარტნიორის (კომპანიის) მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მიზნით ინვესტირებული საწარმოს კაპიტალში განხორციელებული შენატანის და პირგასამტეხლოს ერთობლივი შემოსავლიდან  გამოქვითვის საკითხს.

სიტუაციური სახელმძღვანელოს პროექტის მიხედვით, კომპანიამ 2011 წელს სახელმწიფოსთან გააფორმა ხელშეკრულება სახელმწიფო შპს-ის 100% წილის შეძენასთან დაკავშირებით. წილის ღირებულება განისაზღვრა 1 ლარით და 5 წლიანი საინვესტიციო ვალდებულებით (შპს-ს კაპიტალში ყოველწლიური ფულადი შენატანის სახით). ფულადი შენატანების დროს შედგენილია კომპანიის საოქმო გადაწყვეტილება კაპიტალის გაზრდის შესახებ.

კომპანიამ 2013 წელს მიიღო გადაწყვეტილება ხელშეკრულების მოშლის შესახებ, რისთვისაც გადაიხადა პირგასამტეხლო 100 000 ლარი. ამასთან, ხელშეკრულების მოშლამდე ინვესტირებულმა თანხამ შეადგინა 1 500 000 ლარი, რომელიც სახელშეკრულებო პირობების შესაბამისად უკან დაბრუნებას არ ექვემდებარება.

კომპანიამ ინვესტირებული თანხა 1 500 000 ლარი და პირგასამტეხლო 100 000 ლარი მიიჩნია წილის შეძენისთვის გაწეულ ხარჯად და ასახა ხელშეკრულების მოშლის საანგარიშო პერიოდის (2013 წლის)  ერთობლივი შემოსავლიდან გამოსაქვით ხარჯებში.

სსკ-ის 105-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, ერთობლივი შემოსავლიდან გამოიქვითება ყველა ხარჯი, რომელიც დაკავშირებულია მის მიღებასთან, გარდა იმ ხარჯებისა, რომლებიც ამ კოდექსის თანახმად გამოქვითვას არ ექვემდებარება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ინვესტირებული თანხა (1 500 000 ლარი) და პირგასამტეხლო (100 000 ლარი) განხილულ უნდა იქნეს ერთობლივი შემოსავლის მიღებასთან დაკავშირებულ გამოსაქვით ხარჯად.